პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 (9472) | სამშაბათი, 6 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

ვიყოთ გულმართალნი და პატიოსანნი პარტიის წინაშე — მოწოდებაა. (1-ლი გვერდი).

პარტიის წინაშე მოვალეობის გრძნობა—«პრავდის» 5/I მოწოდებაა (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. მ. ვარდოსანიძე — გულდასმით სწავლობენ ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომს (მე-2 გვერდი).

კონსულტაცია. ი. ბაჯაძე — სსრ კავშირის განათლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ტრაქტორების რემონტს (მე-2 გვერდი).

წერილი რედაქციას. მ. ლეონიძე — მეტი ყურადღება მეცხენეობის განვითარებას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-2 და მე-3 გვერდი).

რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვიყოთ გულმართალნი და პატიოსანნი პარტიის წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ამ ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის შთამაგონებელმა სიტყვამ და მისმა გენიალურმა ნაშრომებმა — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — მთელი ჩვენი ხალხის მძლავრი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვიეს. ეს ისტორიული დოკუმენტები ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიიღეს როგორც ბრძოლისა და გამარჯვებათა სამოქმედო პროგრამა.

უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიყვარული და ნდობა ლენინ — სტალინის მშობლიური პარტიისადმი. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ნაცადი და საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელია. იგი სოციალისტური საზოგადოების მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალაა. პარტიის პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს.

ახალი, დიდი ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად პარტია კიდევ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს თავის წევრებს. ახალი ამოცანები მოითხოვენ პარტიის თვითეული წევრის პასუხისმგებლობისა და აქტივობის გაძლიერებას ლენინ — სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში. პარტიის შეცვლილ წესდებაში ჩაწერილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, რომელიც არა მარტო აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, არამედ აქტიურად უწყობს ხელს მათს განხორციელებას, მუშაობს პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში და ასრულებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას.

კომუნისტი მოვალეა ყველაფერზე მაღლა აყენებდეს პარტიის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს, ცოცხლობდეს და მუშაობდეს პარტიისათვის, ხალხისათვის, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ამხანაგი სტალინი პარტიის წევრებს ასწავლის იყონ გულმართალნი და პატიოსანნი პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე. პარტია თავის წევრებს ზრდის მაღალი იდეურობისა და მომთხოვნელობის, პრინციპულობის და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, პირდაპირობის და პატიოსნების სულისკვეთებით. 1937 წლის 11 დეკემბერს წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ლენინის ტიპის მოღვაწენი უნდა იყვნენ **„...ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი...“**

დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ამ სახელმძღვანელო პრინციპებმა გამოხატულება ჰპოვეს პარტიის შეცვლილ წესდებაში. კომუნისტის ერთ-ერთი მოვალეობაა, ჩაწერილია წესდების მესამე მუხლში, **„იყოს გულმართალი და პატიოსანი პარტიის წინაშე, არ დაუშვას სიმართლის დაფარვა და დამახინჯება. პარტიის წინაშე კომუნისტის არაგულმართლობა და პარტიის მოტყუება უმძიმესი ბოროტებაა და შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან“.**

კომუნისტი კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული და უანგარო მებრძოლია. პატიოსნება და გულმართლობა მისი განუყრელი თვისებებია. პარტიის წევრი პატიოსანი და გულმართალი უნდა იყოს ყოველ მოქმედებაში, მთელ თავის მუშაობაში, საზოგადოებრივ საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში.

პარტიის შეცვლილი წესდება მოითხოვს, რომ პარტიის წევრი ავითარებდეს თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, გაბედულად ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ.

კომუნისტი პატიოსანი და გულმართალი უნდა იყოს პარტიის წინაშე ყველგან და ყოველთვის, რა პოსტზეც უნდა იმყოფებოდეს იგი. პარტია თავის წევრებს ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ამიტომ ყოველი კომუნისტი, რომელიც თავის თავს პატივს სცემს და რომლისთვისაც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას, მხოლოდ ამაღლებს და მოიგებს პარტიის თვალში იმით, თუ აშკარად და პატიოსნად აღიარებს თავის შეცდომებს. შეცდომების პატიოსნად აღიარება საჭიროა იმისათვის, რომ სწრაფად გამოვასწოროთ და კვლავ აღარ გავიმეოროთ ისინი. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ისეთ ვაი-მუშაკებს, რომლებიც განუწყვეტლივ სჩადიან შეცდომებს და შემდეგ ასევე განუწყვეტლივ აღიარებენ მათ.

XIX ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივების კრებებზე, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომლებიც ამას წინათ ჩატარდა, სამართლიანად აკრიტიკებდნენ იმ კომუნისტებს, რომლებიც გულმართალნი არ არიან პარტიის წინაშე. კომუნისტური პარტია თავის რიგებში ვერ შეიწყნარებს ძატყუარებს, ვინაიდან ისინი ძირს უთხრიან პარტიისადმი ნდობას, მორალურად ხრწნიან კომუნისტთა რიგებს.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ცალკეული ხელმძღვანელების მხრივ პარტიის მოტყუების, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დავიწყების შემთხვევები. მაგალითად, თვალისახვევასა და მოტყუებას ეწეოდა თბილისის საგალანტერიო ფაბრიკის დირექტორი ამხ. ჭყონია. აღნიშნული ფაბრიკა დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა, დირექტორი კი უჩვენებდა, რომ საწარმო ვითომც პირველი ხარისხის ნაწარმს ამზადებდა. ამ ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის, პარტიის წინაშე არაგულმართალი და უპატიოსნო ქცევისათვის ამხ. ჭყონია სასტიკად დაისაჯა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. კ. ჭინჭარაულის არაგულმართალი ქცევის საკითხი. გასული წლის 10 დეკემბერს ამხ. ჭინჭარაულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვა დამთავრებულიაო, ნამდვილად კი ამ რიცხვისათვის საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებას 175 ჰექტარი აკლდა. ბიურომ პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ჭინჭარაულს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არასწორი ინფორმირებისათვის გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

რით არის გამოწვეული ის, რომ ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკი, ზოგიერთი კომუნისტი პარტიის მოტყუების გზას ადგება, არაგულმართლობას იჩენს პარტიის წინაშე, ალამაზებს სინამდვილეს და მალავს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას? ეს უწინარეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი მუშაკი სუსტად მუშაობს თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის, პოლიტიკურად ჩამორჩენილი და შეუგნებელია; ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ არ არის დაყენებული იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ჩვენი კადრების მაღალი მორალური თვისებებით აღსაზრდელად.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტკიცედ შეასრულონ პარტიის წესდების მოთხოვნები, იზრუნონ კადრების, ყველა კომუნისტის იდეური გამოწრთობისათვის, აღზარდონ ისინი გულმართლობისა და პატიოსნების სულისკვეთებით, ამხილონ და სასტიკად დასაჯონ არაგულმართალი და უპატიოსნო ადამიანები, ეგრეთწოდებული „პატიოსანი მოლაყბეები“, რომელთა სიტყვა საქმეს შორდება. ყველა პოსტზე, დიდსა თუ პატარაზე, უნდა მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც პარტიისადმი ბოლომდე ერთგულნი და მის წინაშე პატიოსანნი არიან.

დიდი სახელი და პატივია იყო ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის წევრი. თვითეული კომუნისტის წმიდა მოვალეობაა გულმართალი და პატიოსანი იყოს პარტიის წინაშე, მაღლა ატარებდეს და უმწიკვლოდ იცავდეს კომუნისტური პარტიის წევრის დიად სახელწოდებას.



აზერბაიჯანის სსრ. ტრესტ „კავანოვიჩნეფტის“ მე-8 სარეწის კოლექტივმა ტრესტში პირველმა შეასრულა ნავთობის ამოღების წლიური გეგმა. სურათზე: ნავთობის მოპოვებაში მოწინავე № 2 კომპლექსური ბრიგადა. მარჯვნიდან მარცხნივ — ოსტატის თანაშემწე ბ. სამედოვი, ოსტატი ვ. გორბუნოვი და ოპერატორი, სარეწის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ხ. სულეიმანოვი.

ფოტო ფ. შევცოვისა (საკადრისო ფოტოქრონიკა).

სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე

ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი) 3 იანვარი. (საკადრისი). ახალ წელს დიდი გაქანებით წარმოებს მუშაობა სტალინგრადის ჰესის შენობის ქვაბულის რაიონში სიღრმის წყალსაქცევის სისტემისა და წყალსაშვები კაშხალის ასაგებად. უბნის ჰიდრომტექნიკოსებმა 1953 წელი დაიწყეს სატუმბავი მილების ჩადების ახალი ხერხის წარმატებით დანერგვით. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბრიგადა საექსპლოატაციოდ იძლეოდა სამ დღეში ერთ ჭაბურღილს. წელს ერთი ბრიგადა დღეღამეში ორ ჭაბურღილს იძლევა. მუშაობის ტემპი ექვსჯერ გაძლიერდა გასული წლის დეკემბერთან შედარებით.

პირველი რუსული გაზეთის გამოსვლის 250 წლისთავის გამო

ლენინგრადი, 3 იანვარი. (საკადრისი). დღეს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნის ილუსტრაციის გამოფენა, მიძღვნილი პირველი რუსული გაზეთის გამოსვლის 250 წლისთავისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილია „ვედომოსტის“ ჩვენამდე მოღწეული ნომრები, რომლებიც მოსკოვში გამოვიდა 1703 წლის 2 იანვარს. „ვედომოსტი“ გამოდიოდა არარეგულარულად, მასალის დაგროვების მიხედვით. გამოფენაზე წარმოდგენილია 1704, 1705 და სხვა წლების, აგრეთვე 1710 წლის „ვედომოსტი“, რომლებიც პირველად დაიბეჭდა საერო შრიფტით. „ვედომოსტში“ ასახული იყო რუსეთის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება.

ნ. ა. ნეკრასოვისადმი მიძღვნილი გამოუვენა

რიგა. (საკადრისი). ლატვიის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკის დარბაზებში გაიხსნა დიდი გამოფენა „დიდი რუსი პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი“. აქ გამოფენილია პოეტის ნაწარმოებთა იშვიათი გამოცემები და ლიტერატურა ნ. ა. ნეკრასოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რაც ბიბლიოთეკაში ინახება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

გულგარელი მშრომელები სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

სოფია, 3 იანვარი. (საკადრისი). ბულგარელი მშრომელები სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში იმართება ამხანაგ სტალინის ამ შრომისადმი მიძღვნილი მშრომელთა მასობრივი კრებები.

სტარა-ზაგორის ოლქში დეკემბერში მოეწყო 12 კრება, რომლებზეც ი. ბ. სტალინის შრომის ცალკეული პრობლემების შესახებ მოხსენებები გააკეთეს ბულგარეთის ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების კავშირის ეროვნული ლექტორთა ჯგუფის ლექტორებმა.

ქალაქ ტირნოვოში გაიმართა სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვული კავშირის აქტივის საღამო, რომელსაც დაესწრო 600-ზე მეტი კაცი. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფლო კომიტეტის მდივანმა დიმიტრ სტოიჩკოვმა მოხსენება გააკეთა ამხანაგ სტალინის შრომის მნიშვნელობის შესახებ.

—⊙—

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი ტირანაში

ტირანა, 5 იანვარი. (საკადრისი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ალბანეთის შრომის პარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება გაიხსნას ტირანაში მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტში ისწავლიან ალბანეთის პარტიული და სახელმწიფო მუშაკები და კულტურის მოღვაწეები. სწავლების ვადა ორი წელიწადია. სწავლების პროგრამაშია: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ალბანეთის შრომის პარტიის ისტორია, ალბანეთის ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და პოლიტიკური ეკონომია.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის გახსნა, ნათქვამია ცნობაში, კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერების გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

საბარათო სისტემის გაუქმება და ხელფასის გადიდება პოლონეთში

ვარშავა, 4 იანვარი, (საკადრისი). დღეს გაზეთები აქვეყნებენ პოლონეთის მთავრობის დადგენილებას ბარათებით მომარაგების ლიკვიდაციის, ფასების მოწესრიგების, ხელფასის საერთო გადიდებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტით ვაჭრობის შეზღუდვის ლიკვიდაციის შესახებ.

გასულ წელს მარცვლეული კულტურების საუკეთესო მოსავალი, პირტუყვის სულადობის ზრდა, აგრეთვე სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის გადიდება, ნათქვამია დადგენილებაში, ამჟამად შესაძლებელს ხდის ბარათებით მომარაგების გაუქმებას, აგრეთვე საბალხო მეურნეობისა და მშრომელთა ინტერესებისათვის ერთიანი ფასებით პროდუქტების თავისუფალ და შეუზღუდველ გაყიდვაზე გადასვლას იმ პირობით, რომ დარჩეს საგალდებულო ჩაბარება.

ამავე დროს მუშათა კლასის ინტერესებისა და მისი ცხოვრების დონისათვის ზრუნვის გამო საჭიროა ფასების მოწესრიგებასთან ერთად მოხდეს ხელფასის, პენსიების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, სტიპენდიების საერთო შესაბამისი გადიდება ისე, რომ შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდისას მუშათა კლასის საცხოვრებელი დონე მუდმ მაღლდებოდეს.

მომარაგების საბარათო სისტემის ლიკვიდაცია, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, ფასების მოწესრიგება და ხელფასის საერთო გადიდება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის გაყიდვის შეზღუდვის ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ქალაქის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხოლო სოფლის მშრომელთა სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვას, სპეკულაციის აღკვეთას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მყიდველობითი უნარის განმტკიცებასა და გადიდებას, მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას, სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და მშრომელთა მატერიალური დონის მუდმივი გაუმჯობესების საუკეთესო პირობების შექმნას.

ხელფასი, პენსიები, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სტიპენდიები დიდდება 12-40 პროცენტით.

სასჯელი არასწორი ინფორმაციისათვის

პარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ჭინჭარაულმა 1952 წლის 10 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვა დამთავრდა. სინამდვილეში 10 დეკემბრის რაიონის კოლმეურნეობებს კიდევ დასათესი ჰქონდათ 175 ჰექტარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არასწორი ინფორმაციისათვის თიანეთის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ჭინჭარაულს გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

პარტიის წინაშე მოვალეობის გრძნობა

„პრავდის“ 5/I მოწინავე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანმოაზრე კომუნისტების მებრძოლი კავშირი, ნებისა და მოქმედების ერთიანობით მჭიდროდ შეკავშირებული. პარტიული რიგების ურყევი დარაზმულობა და რკინისებური დისციპლინა პარტიის ძლიერებისა და მის დიად გამარჯვებათა წყაროა.

პარტიულ დისციპლინას საფუძვლად უდევს პარტიის წევრთა ღრმა იდეურობა, ლენინ — სტალინის სამეისადმი მათი უსაზღვრო ერთგულება. პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის დისციპლინა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, უწინარეს ყოვლისა ემყარება „პროლეტარული ავანგარდის შეგნებულობას და რევოლუციისადმი მის ერთგულებას, მის სიმტკიცეს, თავგანწირულებას, გმირობას“. პარტია ყოველდღიურად უნერგავს თვითეულ კომუნისტს ამ შესანიშნავ თვისებებს.

კომუნისტის უმაღლესი მოვალეობაა ყოველთვის და ყველაფერში შეასრულოს პარტიის ნება. კომუნისტური პარტიის წევრის საპატიო წოდება ავალებს მას იყოს დისციპლინიანობის, ორგანიზებულობის, პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში შეუპოვრობის მაგალითი. უწინარეს ყოვლისა დისციპლინიანობით მოწმდება კომუნისტის ერთგულება თავისი პარტიისადმი, ერთგულება არა სიტყვით, არამედ საქმით.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა წუვეტს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, კომუნისტის, როგორც პარტიის აქტიური მებრძოლის, მოწინავე როლი კიდევ უფრო ძლიერდება. პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ გაძლიერდეს მინდობილი საქმისათვის პარტიის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის გრძნობა, რა პოსტზეც უნდა იყოს იგი, რომ უაღრესად მტკიცედ სრულდებოდეს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომელიც XIX ყრილობამ მიიღო, აღნიშნულია, რომ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტიის არ შეიძლება იყოს ორი დისციპლინა — ერთი ხელმძღვანელებისათვის, მეორე კი — რიგითი წევრებისათვის. პარტიას აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვით და რა პოსტი უკავიათ მათ. პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევა დიდი ბოროტებაა, რომელიც ზიანს აყენებს პარტიას, და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

„თუ პარტიას სურს შეინარჩუნოს თავისი რიგების ერთიანობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **იგი თავის პრაქტიკაში უნდა ატარებდეს ერთიან პროლეტარულ დისციპლინას, თანაბრად სავალდებულოს პარტიის ყველა წევრისათვის, ისე რიგითი წევრებისთ ვისაც, ამიტომ პარტიაში არ უნდა იყოს დანაწილება „რჩეულებად“, რომლებისთვისაც დისციპლინა სავალდებულო არ არის, და „არარჩეულებად“, რომლებიც ვალდებული არიან დაემორჩილონ დისციპლინას“.**

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის მითითებებით, პარტიის წესდების მოთხოვნებით და ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდნენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, განუწყვეტლივ უძლიერებდნენ ყველა კომუნისტს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობას.

პარტიის მიერ აღზრდილ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობას. პარტიის პოლიტიკური გეზი მათ საკუთარ გეზად მიაჩნიათ, მტკიცედ მისდევენ მას პრაქტიკაში, იცავენ მას, იბრძვიან მისთვის. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა აუცილებელ შესრულება მათ თავიანთი პარტიული სინდისის საქმედ, თავიანთ უმაღლეს პარტიულ მოვალეობად მიაჩნიათ.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარტიული გადაწყვეტილებანი და საბჭოთა კანონები მათთვის როდია დაწერილი. მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი ნებადართული აქვთ, რომ მათ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ სახელმწიფოებრივ და პარტიულ წესებს, ჩაიდინონ უმსგავსობა და თვითნებობა.

თვითეული მუშაკის უპირველესი მოვალეობაა ზუსტად და განუხრელად შეასრულოს სახელმწიფო დავალებანი. მაგრამ ზოგიერთ სწარმოში უზრუნველყოფილი არ არის საწარმო გეგმების შესრულება, პროდუქციას თანაბრად როდი უშვებენ თვის განმავლობაში, პრაქტიკაში აქვთ ეიჩეშობანა. სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დავალებათა შეუსრულებლობა რომ დაფარონ, ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები მიმართავენ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას — გეგმას გადამეტებით უშვებენ მეორეხარისხოვან ნაწარმს. არის ფაქტები, რომ მომხმარებლებს აწვდიან არაკეთილხარისხოვან ნაწარმსა და საქონელს, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს. ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა ცალკეულ საწარმოებში იქმნება ნედლეულისა და მასალების უზომო მარაგი.

ზოგიერთი მუშაკი ვიწრო უწყებრივ ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებს. მაგალითად, ასეთ გზას დაადგა სმოლენსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იაკოვლევი. ხელის დამზადების დაბაჩქარებლად სსრ კავშირის დამზადებათა სახმინისტრომ წინადადება მისცა „ზაგოტზერნოს“ სმოლენსკის საოლქო კანტორას გამოეყო ორასი ავტომანქანა კოლმეურნეობებიდან ხელის პროდუქციის გამოსახიდავად. ამხ. იაკოვლევმა აუკრძალა „ზაგოტზერნოს“ კანტორას შეესრულებინა სამინისტროს ბრძანება, თუმცა ამის უფლება მას არ ჰქონდა. ორ კვირაზე მეტ ხანს დიდმნიშვნელოვანი დირექტივა შეუსრულებელი იყო. ოლქი კვლავ აყოვნებს ხელის ჩაბარებას.

მუშაკის ასეთი ქცევა უნდა შეეფასოთ მხოლოდ როგორც ხახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა. პარტიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ უყურადღებოდ დატოვონ ასეთი ფაქტები.

ზოგიერთი მუშაკი ივიწყებს თავის მოვალეობას და უმალავს სახელმწიფოს სიმართლეს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, ცდილობს სახელმწიფო საწარმო გადაქცეის საკუთარ სამფლობელოდ. მაგალითად, „უკრწყალმშენის“ № 10 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ამხ. პოტიომკინი აკეთებს სისტემატურ მინაწერებს სამფეროპოლის წყალსაცავის მშენებლობის სამუშაოთა ანგარიშებში. მარტო გასული წლის ნოემბერში, როცა თავის წარმატებათა შესახებ პატაკს ამზადებდა, მან ორი კვირის მანძილზე ანგარიშებში გააკეთა რამდენიმე მინაწერი, თითქოს შესრულებული იყო თითქმის ორასი ათასი მანეთის სამუშაოები, მაშინ როცა ფაქტიურად ეს სამუშაოები შესრულებული არ ყოფილა. პოტიომკინი სახელმწიფო სახსრებს ხარჯავს პირადი მიზნებისათვის. მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია კი ვერ ბედავს პასუხი აგებინოს მას როგორც დისციპლინის დამრღვევს.

ხშირად ცალკეული პარტიული ორგანიზაციები მეტისმეტ შემწყნარებლობას იჩენენ დისციპლინის დამრღვევებისადმი იმიტომ, რომ ისინი ინანებენ თავიანთ შეცდომებს და პირობას იძლევიან „მიიღონ საჭირო ღონისძიებანი“. და თუმცა ცნობილია, რომ „დამპირებიებს“ უნარი არ შესწევთ გამოასწორონ საქმე, მაინც იღებენ ახალ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ჰაერში გამოკიდული რჩება.

შარშან პარტიის რაიზანის საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა მიიღეს ხუთი გადაწყვეტილება, რომლებიც სამშენებლო ტრესტის მმართველს ანპილოვს ავალებდნენ საქსპლოატაციოდ გადაეცა ერთ-ერთი ობიექტი. მმართველი ყოველთვის ფიცულობდა, რომ შეასრულებდა მორიგ დირექტივას, და ყოველთვის ატყუებდა პარტულ ორგანიზაციას. სამშენებლო ობიექტი დღემდე არ არის გადაცემული საექსპლოატაციოდ. მმართველმა არ შეასრულა აგრეთვე დირექტივა აგურის ქარხნის მშენებლობის დამთავრების შესახებ, თუმცა საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა ამის გამო სამი გადაწყვეტილება მიიღეს.

რაიმე ხელმძღვანელ პოსტს რომ დაიკავებენ, ცალკეულ მუშაკებს ხელქვეითებთან თავი ჭედმალლურად და ყოყოჩურად უკავიათ, სწყდებიან პარტიულ ორგანიზაციას, მასებს, აღარ ეხმაურებიან მშრომელთა საჭიროებასა და მოთხოვნილებებს. პარტიის წევრის მოვალეობებს ისინი ფორმალურად, ბატონკაცურად, გულგრილად ეკიდებიან. ასეთი ადამიანები პოლიტიკურად არ მომწიფებულან იმისათვის, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე იყვნენ. პასუხსაგებ პოსტებზე ისინი ხვდებიან შემთხვევით, შეცდომით.

პარტია ყველა თავისი წევრისაგან მოითხოვს გულმართლობასა და პატიოსნებას, პარტიული და სახელმწიფო მოვალეობის განუხრელ შესრულებას. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გადაჭრით ებრძოლონ ყველას, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, ფორმალურად ეკიდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. დაუცხრომლად უნდა ავამაღლოთ პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ყველა ჩვენი მუშაკის მოვალეობის გრძნობა, ყოველდღიურად ვზარდოთ ისინი პარტიის წესდების მოთხოვნათა განუხრელი დაცვის სულისკვეთებით, სახტიკი დისციპლინის სულისკვეთებით, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა პარტიის უკლებლივ ყველა წევრისათვის. საჭიროა წვუყენოთ მაღალი მოთხოვნილება მუშაობაში და გვახსოვდეს, რომ ლმობიერება, საკითხების შინაურულად გადაწყვეტა, ქმნის უპასუხისმგებლობის ვითარებას, ზიანს აყენებს საქმეს.

დისციპლინის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება. იგი შესაძლებლობას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ნაკლოვანებანი, გამოვასწოროთ უკანონობა, მივაღწიოთ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას, შევისწავლოთ გამოცდილება. საჭიროა, რომ შესრულების შემოწმება ნამდვილად მთავარი იყოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ საქმიანობაში. წესად უნდა მივიღოთ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების პლენუმებზე რეგულარულად იხმენდნენ ანგარიშებს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ეს გაადიდებს ხელმძღვანელთა, ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობას პარტიული დირექტივების შესრულებისათვის.

პარტიის XIX ყრილობამ ბაზგასმით აღნიშნა თვითკრიტიკის და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკის შემდგომი გაძლიერული გაჩაღების განსაკუთრებული მნიშვნელობა. კრიტიკა და თვითკრიტიკა უნდა გახდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე დისციპლინის განმტკიცებისათვის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მეთოდი.

კომუნისტისათვის არა არის რა იმაზე მაღალი, ვიდრე ჩვენი სამშობლოს ინტერესები, ზრუნვა მისი აყვავებისათვის, მისი ძლიერების გადიდებისათვის. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიური და დაუცხრომელი ბრძოლა პარტიისა და სახელმწიფოს თვითეული მუშაკის, თვითეული კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა.

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების წლიური გეგმა

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა 30 დეკემბრისათვის 106,8 პროცენტით შეასრულეს ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების წლიური გეგმა.

პარტიული ცხოვრება

გუღდასმით სწავლობენ ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომს

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში შარშან 21 ამხანაგმა დაამთავრა პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრე. შემაჯამებელ მეცადინეობაზე მათ სურვილი გამოთქვეს, რომ მომავალ წელს პოლიტიკურ ეკონომიას შეისწავლიდნენ.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა ანგარიში გაუწია მსმენელთა მოთხოვნას და ახალი სასწავლო წლიდან ჩამოაყალიბა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანდნენ საამქროებისა და უბნების უფროსები, ოსტატები და ქარხნის სხვა კომუნისტები. წრეში მეცადინეობის დაწყება დაემთხვა ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — გამოსვლას.

პროპაგანდისტმა ამხ. დ. კუპრავამ, რომელიც გულმოდგინედ სწავლობს ბელადის გენიალურ ნაშრომს, საფუძვლიანად გარდაქმნა წრის მუშაობა, საგრძნობლად აამაღლა მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე. მსმენელებიც მეტი ინტერესით მოეკიდნენ პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო საკითხების შესწავლას. ახლა ისინი საკმაოდ კარგად ერკვევიან ისეთ საკითხებში, როგორიც არის პოლიტიკური ეკონომიის საგანი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები, კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება, ფული, სასაქონლო წარმოება და ღირებულების საკითხი სოციალიზმის დროს და სხვ.

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეს მეცადინეობა ტექნიკურ კაბინეტში აქვს. ეს გარემოება საშუალებას აძლევს პროპაგანდისტს უნარიანად გამოიყენოს თვალსაჩინო ხელსაწყოები, რუკები და სხვა დამხმარე მასალები. მსმენელთა დიდი უმრავლესობა კარგად ეუფლება პოლიტიკური ეკონომიის ძირითად საკითხებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ინჟინრები ლ. კუხალეიშვილი, ა. ტურგუნიანი, ტექნიკური კონტროლის ინსპექტორი ვ. ბეიტრიშვილი, სამჭედლო საამქროს უფროსი მ. ერშოვი, უბნის უფროსი ს. ბუდეშკი და სხვები.

საინტერესოდ მოეწყო და აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია მეცადინეობამ სასაქონლო წარმოების საკითხის შესახებ. პროპაგანდისტი მარტივი, გასაგები ენით ესაუბრება მსმენელებს სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის როლისა და ადგილის შესახებ სოციალისტურ ეკონომიკაში.

პროპაგანდისტი განყენებულად, ქარხნის ცხოვრებიდან მოწყვეტით კი არ განმარტავს საკითხებს, არამედ პოლიტიკური ეკონომიის ცალკეული საკითხების ახსნას მჭიდროდ უკავშირებს ქარხნის მუშაობის მაგალითებს. ეს მაგალითები ზრდიან მსმენელთა სოციალისტურ შეგნებას, იწვევენ მათს ღრმა ინტერესებას ახალი წარმატებებით დაამთავრონ ყოველი სამუშაო დღე.

მაგალითად, ღირებულების კანონის განმარტებისას პროპაგანდისტმა მოიყვანა ქარხნის მრავალი სტახანოველის მაგალითი, რომლებმაც ისე მოაწყეს მუშაობა, რომ მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობ შემცირებას, დაზოგეს ნედლეული. ამწყობი საამქროს ზენკალთა ბრიგადირმა შ. კაპანაძემ თავისი ბრიგადის წევრებთან ერთად გამოიყენა ორთქლმავლების დაშლის შედეგად მიღებული ისეთი დეტალები, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი იყო. ამ გზით ბრიგადამ 30.000 მანეთის ეკონომია გასწია. გასულ სამეურნეო წელს მასალებისა და ნედლეულის ეკონომიით მიღებული თანხებით ქარხანამ გეგმის გადამეტებით კაპიტალურად შეაკეთა სამი ორთქლმავალი.

ყოველი ახალი საკითხის გადაცემის შემდეგ პროპაგანდისტი მსმენელებს მიუთითებს, თუ რა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა გამოიყენონ. ღირებულების საკითხის შესწავლისას პროპაგანდისტმა და მსმენელებმა ამხანაგ სტალინის ნაშრომთან ერთად ფართოდ გამოიყენეს კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომი და ვ. ი. ლენინის ნაწარმოები „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

პარტიული კომიტეტი ყოველთვის ეხმარება პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის მსმენელებს, მათთვის სისტემატურად აწყობს ლექციებს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ამხანაგ სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, „სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები“, „მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმა“, „მატერიალიზმის ბრძოლა იდეალიზმთან თანამედროვე ფიზიკაში“ და სხვ. გარდა ამისა, პარტკომმა დროზე მოამარაგა მსმენელები ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით. მაგრამ წრის მეცადინეობა უფრო მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე რომ ეწყობოდეს, საჭიროა პარტიული კომიტეტი დაინტერესებული იყოს მისი ყოველი მეცადინეობით. შემოწმებით გამოირკვა, რომ წრის ყველა მსმენელს არ შეუძლია კონსპექტის შედგენა, რისთვისაც მათ მეტი ქმედითი დახმარება ესაჭიროებათ. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სალექციო მუშაობა. საჭიროა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის დასახმარებლად ლექციები მოეწყოს ყველა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც დიდი სტალინის გენიალურ ნაშრომში არის გაშუქებული.

ამ საქმის უკეთესი ორგანიზაცია, ყველა შემჩნეული ნაკლის გამოსწორება ქარხნის პარტიული კომიტეტის გადაუდებელი ამოცანაა.

მ. ვარდოსანიძე.

სამეცნიერო სესია

დ. ეზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში 6, 7 და 8 იანვარს ტარდება სამეცნიერო სესია.

სესიის 6 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: „საბჭოთა ფსიქოლოგიის პრობლემები ენათმეცნიერებისა და სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შესახებ ამხანაგ სტალინის გენიალური შრომების მიხედვით“ (მომხსენებელი — ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ა. ფრანგიშვილი); „კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლოგიაში ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით“ (მომხსენებელი — პროფესორი ა. ბოჭორიშვილი); „სიტყვის როლი დახსომებაში და მეხსიერების განვითარების ზოგიერთი თავისებურებანი“ (მომხსენებელი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. კვერაძე); „წერის პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზი“ (მომხსენებელი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მოსიაშვილი).

7 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: „დროებითი კავშირების მექანიზმი და თანამიმდევარი ოპტიკური გამოხატულება“ (მომხსენებელი — პროფესორი ი. ბეგალიშვილი); „ჩვევა, განწყობა და ი. პ. პავლოვის მოძღვრება დინამიკური სტერეოტიპის შესახებ“ (მომხსენებელი — დოცენტი ზ. ხოჯავა); „პიროვნების ტემპერამენტი, ფიქსირებული განწყობის მეთოდი და ი. პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესახებ“ (მომხსენებელი — პროფესორი ვ. ნორაკიძე).

8 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: „სასკოლო ასაკში ცნების დაუფლების ზოგიერთი საკითხი“ (მომხსენებელი — პროფესორი რ. ნათაძე); „ინტელექტუალური ემოციების თავისებურებანი სკოლამდელ ასაკში საბავშვო ბაღში სწავლების პრობლემებთან დაკავშირებით“ (მომხსენებელი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ფ. ხუნდაძე); „მასალები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიისათვის საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში (იოანე ბაგრატიონი)“ (მომხსენებელი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ფრანგიშვილი).

მკითხველთა კონფერენცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ აკადემიის სხდომათა დარბაზში მოაწყო მკითხველთა კონფერენცია ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომაზე „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

მოსმენილ იქნა პროფესორ ს. ბერაძის მოხსენება. სიტყვები წარმოთქვეს მკითხველებმა გ. შუშანაშვილმა, ბ. ხასაიამ, ო. ჯიოევმა და ო. ტყეშელაშვილმა.

კონფერენციას მრავალი მკითხველი დაესწრო.

ექსკურსია ქალაქ გორში

სამტრედია. (საკ. კორ.). საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის სამტრედიის რაიკომმა ამას წინათ მოაწყო ექსკურსია ქალაქ გორში. ექსკურსიაში მონაწილეობდნენ რაიონის სკოლებში მომუშავე 50 მასწავლებელი და მათი ოჯახის წევრები.

ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ი. ბ. სტალინმა, აგრეთვე ქალაქის წარმოებადაწესებულებანი.

უპასუხისმგებლოდ დაქირავების ფრაქტორების რეჟიმი

ტრაქტორების, კომბაინებისა და საოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი 1951-1952 წლებში წნორის მტს-მა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა. ბევრი ტრაქტორი და კომბაინი ცუდად შეკეთების გამო მუშაობის პირველსავე დღეებში მწყობრიდან გამოვიდა. ამიტომ მტს-მა გააჩინარა სატრაქტორო სამუშაოები, რის გამო მისი მომსახურების კოლმეურნეობებში დაბალი მოსავალი მიიღეს.

წნორის მტს-ში მას შემდეგაც არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა, როცა იქ ხელმძღვანელობა გადაახალისეს. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი ხელმძღვანელობა (დირექტორი ვ. ჯავაშვილი, დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ი. კაკაშვილი) უფრო უნარიანად დაიწყებდა მუშაობას, მაგრამ ასე როდი მოხდა. მტს-ის ახალ ხელმძღვანელობას სათანადო დასკვნა არ გაუკეთებია შექმნილი მდგომარეობიდან და ცუდად ხელმძღვანელობს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების საზამთრო რემონტს. მტს-ს არ შეუსრულებია ტრაქტორების რემონტის 1952 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა.

რა აფერხებს რემონტის სწრაფი ტემპით წარმართვას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მტს-ში დანერგილი არ არის რემონტის კვანძური მეთოდი. სარემონტო ბრიგადები მთლიანად არ არის დაკომპლექტებული, სარემონტო ბრიგადაში, რომელსაც ვ. ოთარაშვილი ხელმძღვანელობს, ტრაქტორის შეკეთებაზე მხოლოდ ტრაქტორისტი გ. სიფრაშვილი მუშაობს და, ცხადია, მარტო ის ვერ აუდის სამუშაოს. ასეთივე მდგომარეობაა იმ ბრიგადაში, რომლის ბრიგადირია მ. ყატაშვილი.

ბევრი ტრაქტორის შეკეთება ბრაკდება სათადარიგო ნაწილების მოუმარაგებლობის გამო. რემონტის ნორმალურად წარმართვას ხელს უშლის საქსოფლელექტროს გურჯაანის კანტორის მოუქნელი მუშაობა. კანტორის მუშაკები აფერხებენ წნორის მტს-ისათვის დაკვეთის შესრულებას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მექანიზატორთა კადრების სწავლება. მტს-თან მუშაობა უნდა დაეწყო ტრაქტორისტების მოსამზადებელ კურსებს, მაგრამ დირექცია ამისათვის თავს არ იწუხებს. მტს-ში არა ჰყავთ 39 მუხლუხა ტრაქტორის მეორე ცვლა.

პარტიის სიღნაღის რაიკომმა წესრიგი უნდა დაამყაროს წნორის მტს-ში, აღკვეთოს უპასუხისმგებლობა და უდარდელობა ამ საქმეში.

გ. ყაჯრიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მწვანე აგურა ჩაი გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1952 წელი, მწვანე აგურა ჩაის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დაწინაურდა საწნეხი საამქროს მეორე ცვლა, რომელსაც ვ. ნარსია ხელმძღვანელობს. ცვლა ყოველდღიურ დავალებას სისტემატურად 140-150 პროცენტით ანაღდებს. გეგმას 200 პროცენტით და მეტადაც ანაღდებენ ცვლის იმ ბრიგადებში, რომლებსაც ნ. ზიბნიკოვა და ზ. კურენკოვა ხელმძღვანელობენ. კარგი მუშაობით გამოირჩევიან სტახანოველები ა. ვერბიცკაია, პ. ბობროვნიკი და ა. ობონენცოვა.

დაწინაურდნენ ფაბრიკის საშრობი და შემფუთავი საამქროებიც. გეგმას 200 პროცენტით და მეტით ასრულებენ მწვანე აგურა ჩაის შტაბელებად დამწყობი ქ. ბასილაია, მიმწოდებელი თ. ჯუმბურიძე, შემომჭრელი ნ. ზამესი, შემფუთავები ტ. გარანჟა, მ. გაგუა, ტ. ზამესი, დ. ჯანაშია და სხვები.

ფაბრიკამ 1952 წელს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 2 მილიონი მანეთი მოგება, 2 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა 40 ტონა საწვავი.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატი

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში სახელი გაითქვა ელენე ენჯიბაძემ. როგორც მოწინავე კოლმეურნე, იგი დაწინაურებულ იქნა რგოლის ხელმძღვანელად. მოწინავე კოლმეურნე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1952 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მისმა რგოლმა 3 ჰექტარი ურწყავი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 432 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, გეგმა კი 220 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამხ. ენჯიბაძე თავის გამოცდილებასა და შრომის მოწინავე მეთოდებს ფართოდ ავრცელებს კოლმეურნეთა შორის. ახლა ზემო ოსიაურის კოლმეურნეობაში ბევრია შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატი.

წელს ელენე ენჯიბაძე წარმატებით მუშაობს უხვი მოსავლის მოყვანისათვის. საჰარხლე ნაკვეთში მზრალად მოხვნის წინ მან საკმაო რაოდენობით შეიტანა სხვადასხვა სახის სასუქი.

კონსულტაცია

სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესახებ

დოცენტი ი. გაჯაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ ერთხმად მიიღო დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. დირექტივებში მოცემულია ჩვენი დიადი სამშობლოს სახალხო მეურნეობის, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი მძლავრი ზრდის გაშლილი მეცნიერული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებით ჩვენი გმირი ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმული, მორიგ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის სახელოვან გზაზე.

პროგრესული კაცობრიობის საყვარელმა ბელადმა დიდმა სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ყოველმხრივ გამოიკვლია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონების ხასიათი და მთელი სიცხადით გვიჩვენა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

ი. ბ. სტალინმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობები. პირველ ასეთ ძირითად პირობას წარმოადგენს „...მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ მან მოწყობილობით უნდა უზრუნველყოს როგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული ალწარმოება“.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამომდინარეობენ ამხანაგ სტალინის ამ სახელმძღვანელო დებულებიდან და ითვალისწინებენ საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების განუხრელ ზრდას მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში. სოციალისტური წარმოების მძლავრი აღმავლობის საერთო ფონზე გამოკვეთილად ჩანს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის წამყვანი და გადამწყვეტი დარგის — ინდუსტრიული წარმოების პროდუქციის კოლოსალური გადიდება. დირექტივების განსაზღვრით ამ წარმოების დონე მეხუთე ხუთწლედის განძილზე 70 პროცენტით გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ 1955 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 3-ჯერ უფრო მეტი იქნება 1940 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით; 1950 წელს კი, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მხოლოდ 73 პროცენტით აჭარბებდა 1940 წლის დონეს. მეხუთე ხუთწლედში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური ზრდა დაახლოებით 12 პროცენტს შეადგენს. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება 13 პროცენტით დიდდება, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების საშუალო-წლიური ზრდის ტემპი 11 პროცენტით ისაზღვრება. განვითარების ასეთი ტემპების პირობებში მეხუთე ხუთწლედის განძილზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ყოველწლიური ნამატი დაახლოებით 33,5 მილიარდ მანეთს აღწევს და თითქმის ორჯერ აღემატება მეოთხე ხუთწლედის შესაბამ მაჩვენებელს.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ზრდის საშუალოზე გაცილებით მაღალ ტემპში ახასიათებს მძიმე მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარებას. მაგალითად, 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზრდება: თუჯის წარმოება — 76 პროცენტით, ნავთობის მოპოვება — 85 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება — 80 პროცენტით, მინერალური სასუქების წარმოება — 88 პროცენტით, ცემენტის წარმოება — 2,2-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია — დაახლოებით ორჯერ. როგორც ცნობილია, მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ჩარხმშენებლობა წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგს, სოციალისტური ტექნიკის განუხრელი სრულყოფისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში საბჭოთა ინდუსტრიული წარმოების ეს დარგი ყველაზე უფრო მძლავრი აღმავლობით ხასიათდებოდა. 1950 წელს საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებლობის მთლიანი პროდუქცია 2,3-ჯერ სჭარბობდა 1940 წლის დონეს. მეხუთე ხუთწლედში გრძელდება მანქანათმშენებლობის კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობა და 1955 წელს მრეწველობის ამ დარგის პროდუქცია დაახლოებით 4,5-ჯერ გადააჭარბებს 1940 წლის დონეს.

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მანქანათმშენებლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ელექტროსადგურების, ნავთ და ფერადი მეტალურგიის საწარმოების, ნავთობის გადამამუშავებელი, ხელოვნური თხევადი სათბობის მწარმოებელი ქარხნებისა და ქიმიური მრეწველობის მშენებლობის სრული უზრუნველყოფა მოწყობილობით. განვითარდეს ჰიდრავლიკური და ორთქლის ტურბინების, გენერატორების, მაღალვოლტიანი აპარატურისა და მართვის სხვადასხვა ხელსაწყოების წარმოება საჭირო რაოდენობით დიდი ჰიდრავლიკური და თბოელექტროსადგურებისათვის, მეტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი და სხვა ქარხნებისათვის, აგრეთვე დიდი ქარხნებისა და სამშენებლო-საწნეხი მოწყობილობის წარმოება“. მეხუთე ხუთწლედის განძილზე საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებლობა კიდევ უფრო კვალიფიციური გახდება, მკვეთრად გაუმჯობესდება მისი წარმოებითი აპარატის ტექნიკური აღჭურვილობა და იგი უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის უახლესი ტექნიკით შეიარაღებას.

მანქანათმშენებლობისა და მთელი მძიმე მრეწველობის გაშლილი აღმავლობის საფუძველზე მეხუთე ხუთწლედში ხორციელდება გრანდიოზული კაპიტალური მშენებლობა, მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1951-1955 წ. წ. დაახლოებით 2-ჯერ გადააჭარბებს 1946-1950 წლების შესადარის მაჩვენებელს. კაპიტალური მშენებლობის ტემპის ასეთი ზრდის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მრეწველობის წარმოებითი აპარატის გაშლილი ზრდა და ამ აპარატის ახალი ტექნიკით შეიარაღება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეხუთე ხუთწლედში ამუშავდება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური 2,1 მილიონ კილოვატი სიმძლავრისა, ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე გაიზრდება ერთიორად, ხოლო ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე — ერთისამად და ა. შ.

მძიმე მრეწველობის, საზოგადოდ წარმოების საშუალებათა წარმოების მძლავრ აღმავლობასთან ერთად დირექტივები ითვალისწინებენ პირადი მოხმარების საგნების წარმოების შემდგომ სწრაფ განვითარებას. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია 70 პროცენტით გაიზრდება. პირადი მოხმარების საგნების ცალკე სახეობათა წარმოების ზრდა შეადგენს: ტყავის ფეხსაცმლისა — 55 პროცენტს, შაქრის ფხვნილისა — 78 პროცენტს, ხორცისა — 92 პროცენტს, ერბოკარაქისა — 72 პროცენტს, კონსერვებისა — 2,1-ჯერ მეტს და სხვ. ასეთ ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდება პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი. მიმდინარე ხუთწლედში საბჭოთა კავშირი ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ პირადი მოხმარების საგანთა სიუხვის შექმნის საქმეში.

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიული წარმოების, კერძოდ, მძიმე ინდუსტრიის გაშლილი აღმავლობის საფუძველზე ხორციელდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი ზრდა. ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის დირექტივები აღნიშნავენ, რომ მეხუთე ხუთწლედში სოციალისტური „მიწათმოქმედება უნდა გახდეს კიდევ უფრო პროდუქტიული და კვალიფიციური, განვითარებული ბალახთესვითა და სწორი თესლბრუნვით, ტექნიკური, საკვები, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესი ფართობების უფრო მაღალი ხვედრითი წონით“. მიმდინარე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მთავარ ამოცანად რჩება მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გაცილებით უფრო მძლავრი ზრდა წინა ხუთწლედებთან შედარებით. მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების უზრუნველსაყოფად დირექტივები ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განვითარების, ირიგაციულ ღონისძიებათა და აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის განვითარების გაშლილ პროგრამას.

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში 2,1-ჯერ იზრდება მეოთხე ხუთწლედთან შედარებით. მტს-ების ტრაქტორთა პარკის სიმძლავრე გადიდდება 50 პროცენტით; ხოლო ტრაქტორის დღიური გამომუშავება — 50 პროცენტით. ახალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობა მრეწველობისაგან მიიღებს გაცილებით უკეთეს და მეტი წარმადობის მანქანა-იარაღებს წინა ხუთწლედთან შედარებით. კიდევ უფრო ძლიერი ტემპით განვითარდება სოფლის ელექტროფიკაცია. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაშლილი ზრდის საფუძველზე განხორციელდება წარმოების ფართო მექანიზაცია. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე მიაღწევს: ხვნასა და მარცვლეულისა და მზესუმზირას მოსავლის კომბაინით აღებაში — 80-90 პროცენტს, მკვეთრად გაიზრდება სხვა ტექნიკური კულტურებისა და საკვებთა წარმოების მექანიზაცია.

მეხუთე ხუთწლედში კიდევ უფრო ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს გრანდიოზული სამუშაოები ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განსახორციელებლად. ამ ხუთწლედის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 2,5 მილიონი ჰექტარი მინდორსაცავი ტყე, დაითესება და დაირგვება დაახლოებით 2,5 მილიონი ჰექტარი სახელმწიფო ტყე. კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელების შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცემა მთელი რიგი გრანდიოზული ნაგებობანი და მკვეთრად გაიზრდება სოფლის მეურნეობის სარწყავი და წყალით უზრუნველყოფილი ფართობი. 1951-1955 წლებში ამოშრობილი მიწის ფართობი 40-45 პროცენტით გადიდდება და გაუმჯობესდება მორწყული და ამოშრობილი ფართობის გამოყენება.

ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, მკვეთრად გაუმჯობესდება შრომისა და წარმოების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობაში გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით დაინერგება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა მიღწევები. დასახელებულ ღონისძიებათა გატარების შედეგად ახალი ხუთწლედი მოგვცემს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი მასშტაბითა და სწრაფი ტემპით გადიდებას.

აღსანიშნავია, რომ მეხუთე ხუთწლედის მანძილზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი თვალსაჩინოდ უახლოვდება ინდუსტრიული წარმოების განვითარების ტემპს. როგორც ცნობილია, 1940 წელს საბჭოთა კავშირის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 11,7-ჯერ სჭარბობდა 1913 წლის შესადარ მაჩვენებელს. ამავე თარიღების მიხედვით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 70 პროცენტით გადიდების პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1,5-ჯერ და ზოგიერთ დარგში კიდევ უფრო მეტად იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა საზოგადოება ახორციელებს ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთდროულ მძლავრ აღმავლობას. სახალხო მეურნეობის აღნიშნული ორი მთავარი დარგის ასეთ აღმავლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები საბჭოთა კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ აგრეთვე სოციალისტური ტრანსპორტის შემდგომ ზრდას, საწარმოო ძალთა სოციალისტური განლაგების შემდგომ სრულყოფას და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის გაშლილ აღმავლობას. მეხუთე ხუთწლედის მან-

წერილი რედაქციას

მეჯი ყურადღება მეცხენეობის განვითარებას

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის დიდად განვითარებას. ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა პირველხარისხოვანი მძლავრი ტექნიკით არის აღჭურვილი. მექანიზაციის სწრაფ ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მეცხენეობის განვითარებასაც. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახულია მეცხენეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

ცხენის მოშენების სწორად წარმართვისა და ხარისხის გამომჟღავნებისათვის საჭიროა გამოცდა მუშაობის უნარის მხრივ. ცხენების დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით საჯდომი და შესაბმელი ცხენებისათვის მიღებულია როგორც საიპოდრომო, ისე დისტანციური გამოცდა, ძძიმე, შესაბმელი ცხენებისათვის კი მუშაობის უნარის გამომჟღავნება ტვირთზიდვაში.

მუშაობის უნარის მხრივ გამოცდისათვის საერთოდ მიჩნეულია 2,3 და 4 წლის ასაკის მოზარდეულის გამოცდა მისი სრულასაკოვანთა ჯგუფში გადარიცხვამდე. ამისათვის საჭიროა სისტემატური წვრთნა და გამოცდისათვის თანდათანობით მომზადება სულ მცირე 7 თვის მანძილზე. მოზარდეულის წვრთნისათვის მეცხენეობის მეურნეობასთან მოწყობილია საწვრთნელი საჯინიბოები. საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმებში ცხენთა მოზარდეულის წვრთნის დანერგვისათვის სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს, მოწყობილია საკოლმეურნეობათაშორისო და სარაიონთაშორისო საწვრთნელი პუნქტები.

ახმეტის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საწვრთნელ პუნქტში გაერთიანებულია სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის, ბერიას სახელობის და ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების მოზარდი ცხენები. ისინი მოთავსებული არიან სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ქვიტკირის სადგომში, მაგრამ თვით საჯინიბო კი-ილმოწყობილი არ არის. ცხვდებით მომუშავეთა დენადობას, ნაკლები ყურადღება ექცევა ცხენების მოვლასა და კვებას. უხეში და მარცვლეული საკვების უკეთ გამოყენებისათვის არ ხდება ნამჯის მიცემა ბზის სახით, დაორთქლვა-დალბობა, შვრიის დაღერღვა და დამატებით სხვა სახისა და მინერალური საკვების მიცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია მეცხენეობის საჯინიბო ფერმები, რომელთა დანიშნულებაა თუშური ჯიშის საჯდომ-სასაპალნე ცხენის მოშენება და გამუმჯობესება, მაგრამ არც ერთ კოლმეურნეობას არა ჰყავს ტიპიური თუშური ჯიშის ულაყი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კოლმეურნეობები განიცდიან საჯდომი და სასაპალნე მუშა ცხენის დიდ ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ჯიშის გაუმჯობესების საქმეს.

საქართველოში ცხენების ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე ნელი ტემპით ხორციელდება. სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს ცხენთა ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის და მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს, როგორიც არის: ცხენების დაგრილების სეზონში საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმებში დროებით სარგებლობისათვის სახელმწიფო საჯინიბოს ჯიშიანი ულაყ-მწარმოებლების უსასყიდლოდ დაყენება, მეცხენეობის საჯიშე მეურნეობებიდან ჯიშიანი ულაყ-მწარმოებლების რეზერვის შექმნა. ამ საქმეს მაინც არ ეწევა სათანადო ყურადღება, სახელმწიფო საჯინიბოს ულაყებს არ იყენებენ სრული დატვირთვით, არ ხდება დაგრილებისა და მონაშენის მიღების ალრიცხვა, ყურადღებას არ აქცევენ მათი კვებისა და მოვლა-პატრონობის საკითხს.

ცხენსაშენებიდან ნაყიდი თვით კოლმეურნეობების კუთვნილი ულაყებიც გამოუყენებელი რჩებიან. ცუდი კვებისა და მოუვლელობის შედეგად მათი უმეტესობა იხოცება ან ზიანდება. ის მონაშენი კი, რომელიც მიღებულია ჯიშიანი ულაყებისაგან, ცუდი კვების გამო დაჩნინებულია.

სოფლის მეურნეობის მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ჯიშიანი ცხენები გამოსადეგი არიან არა მარტო მოკლემანძილიანი დოღებისათვის, არამედ შეჯიბრების ყოველგვარ სახეში.

ფართოდ გაიშალა საქართველოში ცხენოსნური სპორტის ეროვნული სახეები. დაინერგა სპორტის კლასიკური სახეებიც. ცხენოსნური სპორტისათვის და საერთოდ ადგილობრივი ცხენების გაუმჯობესების საქმეში კარგი ინიციატივა გამოიჩინეს დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა. მათ შექმნეს ჯიშიანი ცხენების ფერმები როგორც სპორტის საჭიროებისათვის, ისე საჯიშე მასალის მისაღებად და ადგილობრივი ცხენების გასაუმჯობესებლად. ამ ინიციატივას უნდა მიბაძონ თბილისის ოლქის კოლმეურნეობებმა.

ჩვენში საწვრთნელი პუნქტები და იპოდრომები, აგრეთვე საცხენოსნო სასპორტო სკოლები და რაიონული საცხენოსნო სპორტული გუნდები არა მარტო ცხენების ჯიშობრივი გაუმჯობესების პოპულარიზატორები არიან, არამედ ავლენენ ახალგაზრდა სპორტსმენებს და აღრმავებენ მათს სიყვარულს ცხენის მოშენების, მოვლა-პატრონობის, წვრთნისადმი. სამწუხაროდ, ზოგიერთი ზოოვეტსპეციალისტი და მით უმეტეს მეცხენე ზოოტექნიკოსები დაინტერესებულნი არ არიან, კარგად არ იციან ცხენის წვრთნა. ამ სერიოზულ ნაკლს ისიც იწვევს, რომ საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მეცხენეობის კათედრის პროგრამაში შეტანილი არ არის ცხენების ექსპლოატაციის საკითხები.

სასურველია მსხვილ საკოლმეურნეო საჯიშე ფერმებში მოეწყოს საწვრთნელი პუნქტები, უწინარეს ყოვლისა საულაყე მოზარდეულის გამოცდისათვის, შემდეგ კი, განსაკუთრებით საჯიშე ფერმებში როგორც საულაყე, ისე საფაშატე მოზარდეულის წვრთნისა და გამოცდისათვის, საწვრთნელი პუნქტების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

სასურველია ყველა რაიონში მოეწყოს საცხენოსნო სპორტული გუნდები, რომლებიც მეცხენეობის დარგის ერთერთი მნიშვნელოვანი პოპულარიზატორი იქნებიან. ამ საქმეში მეტი რაოდენობით უნდა ჩავაბათ კოლმეურნე ახალგაზრდობა.

ზოოვეტსპეციალისტებმა და განსაკუთრებით მეცხენე ზოოტექნიკოსებმა უნდა შეისწავლონ როგორც საწვრთნელი პუნქტების, ისე საცხენოსნო სპორტული გუნდების წვრთნისა და გამოცდის ხერხები და სათავეში ჩაუდგნენ როგორც მოზარდეულის, ისე საცხენოსნო სპორტული წვრთნისა და გამოცდის საქმეს.

ზოოვეტსპეციალისტების მიერ ცხენების წვრთნისა და გამოცდის ცოდნის დაუფლების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მეცხენეობის კათედრის პროგრამაში შეტანილ იქნას ცხენების მოზარდეულის როგორც საიპოდრომო, ისე შესაბმელი ცხენების ტვირთზიდვაში გამოცდის და სპორტული წვრთნის საკითხები. უნდა გაფართოვდეს საცხენოსნო-სასპორტო სკოლა „სპარტაკი“, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მაგალითისამებრ, საცხენოსნო სპორტი შეტანილ იქნას ფიზკულტურისა და სპორტის აუცილებელ ჩასაბარებელ კომპლექსში.

რაიონებში ცხენების წვრთნისა და გამოცდის სამუშაოთა მაღალხარისხიანად ჩატარების და ცხენოსნობის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების შესწავლის მიზნით მიზანშეწონილია მოკლევადიან კურსებზე მომზადებულ იქნან პრაქტიკოსი მწვრთნელები.

ცხენთა მოზარდეულის მუშაობისუნარიანობის მხრივ გამოსაცდელად და წვრთნის შედეგების გამოსამჟღავნებლად სასურველია რაიონებში მოეწყოს ადგილობრივი მნიშვნელობის სარაიონო ან სარაიონთაშორისო იპოდრომები. საჭიროა სოფლის მეურნეობის ორგანოების მუშაკებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მეცხენეობის განვითარებას.

მ. ლეონიძე,
თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი.

თბილისი. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე ადამიანები ბეჯითად შრომობენ მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. **სურათზე:** საქსოვი საამქროს სტახანოველი კომკავშირელი სონია ჭარხაძე თავის საქსოვ დაზგასთან. ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებიდანვე იგი გამოშუშავების ნორმებს 125-130 პროცენტით ასრულებს, ამასთან 73,6 პროცენტის ნაცვლად მის მიერ გამოშვებული ქსოვილის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოწინავე საწარმოო კოლექტივები

ამიერკავკასიის რკინიგზის საავეჯო ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მისი კოლექტივი კარგა ხანია ზედიზედ ინარჩუნებს საგზაო გარდამავალ წითელ დროშას. თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით მეავეჯეებმა ვადამდე გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — წლიური საწარმოო გეგმა შეასრულეს 12 დეკემბრისათვის.

ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადები, რომლებიც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის ხარისხი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დურგლებმა — ი. ირემაშვილმა, ი. ვუკალოვმა, ნ. ბაქრაძემ, გ. პატრიაშვილმა, სარანდავი დაზგის მუშებმა — მ. ჭოლოკავამ, ი. იუნაკოვსკიმ და სხვებმა. ფაბრიკის 25 მოწინავე მუშა ამჟამად პროდუქციას 1954 წლის ანგარიშში იძლევა.

* * *

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც სუხუმის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება, წლიური გეგმა ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვით 16 დეკემბრისათვის შეასრულა.

მეკონსერვეებმა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 70 ათასი ქილა კონსერვი გამოუშვეს.

ამერიკის ახალი მოწვევის კონგრესის პირველი სხდომა

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის რადიოს ცნობით, დღეს ვაშინგტონში გაიმართა ამერიკის 83-ე მოწვევის კონგრესის პირველი სხდომა.

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ვაშინგტონში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების 83-ე მოწვევის კონგრესის სესია.

ახალი კონგრესის ორივე პალატაში უმრავლესობა ეკუთვნით რესპუბლიკელებს: სენატში 48 რესპუბლიკელი (თუ არ ჩავთვლით სენატის თავმჯდომარეს ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონს), 47 დემოკრატი და ერთი ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი (სენატორი მორზე).

წარმომადგენელთა პალატაშია 221 რესპუბლიკელი, 211 დემოკრატი, 1 „დამოუკიდებელი“ (ფრენზიერ რიმსი, ოჰაიოს შტატიდან); 2 ადგილი თავისუფალია, რადგან ამას წინათ გარდაიცვალა პალატის ორი წევრი.

როგორც წარსულში, გადამწყვეტი ძალა კონგრესში კვლავ რესპუბლიკელთა და სამხრეთელ დემოკრატთა კოალიციაა. ამ კოალიციას აქვს 71 ხმა 96 ხმიდან სენატში და 326 ხმა წარმომადგენელთა პალატაში. წარსული კონგრესისაგან განსხვავებით, ამჟამად ორივე პალატაში, ასევე კომისიების თავმჯდომარეობა რესპუბლიკელებს ხვდათ წილად. ეს კომისიის თავმჯდომარეობა პოსტები ახლა დემოკრატებს კი არა, რესპუბლიკელებს მკუთვნით, ამასთან რესპუბლიკელთა შორის აშკარად შესამჩნევია უმეტესი გავლენა ტაფტის ლაჯგუფებისა, რომელიც, უმთავრესად, შუა დასავლეთის შტატების წარმომადგენელთაგან შედგება.

პრესის ცნობებით, სენატორმა ტაფტმა სენატის უმრავლესობის ლიდერის როლის დამატებით გადაწყვიტა აგრეთვე გახდეს სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრი და, ამრიგად, უზრუნველყოს თავისთვის ისეთი პოსტი, რომლის დაკავებითაც იგი შეძლებს დიდი გავლენა იქონიოს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე.

ორივე პალატის 3 იანვრის სხდომები მიეძღვნა უმთავრესად პროცედურის საკითხებს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, სენატმა თავის დროებით თავმჯდომარედ აირჩია სენატორი ბრიჯესი, ხოლო წარმომადგენელთა პალატამ თავის თავმჯდომარედ აირჩია რესპუბლიკელი მარტინი.

იაპონია-ამერიკის შეთანხმება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ დაიმონებს იაპონიის ეკონომიკას

ტოკიო, 4 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იქ შეიმუშავეს „ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ იაპონია-ამერიკის შეთანხმება“, რომელიც უფრო გააძლიერებს ამერიკის კონტროლს იაპონიის ვაჭრობისა და საზღვაო ტვირთზიდვისადმი.

ეს შეთანხმება, რომელიც იაპონიასთან საფრანცისკოში დადებული „საზავო ხელშეკრულების“ დამატებაა, ამერიკელებს ისეთსავე უფლებებს ანიჭებს, როგორც იაპონელებს, და უზრუნველყოფს მათი მოგების გატანას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გაზეთი „მაინიჩი“ 25 დეკემბერს წერდა, რომ ეს შეთანხმება „შეასუსტებს უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა კანონს და ნებას მისცემს ამერიკელ მოქალაქეებს თუ ფირმებს შეიძინონ იაპონიის კორპორაციების აქციების საკონტროლო პაკეტები“.

როგორც ოფიციალური ცნობებიდან ჩანს, 1950 წლის ივნისიდან, როცა ძალაში ჰირველად შევიდა კანონი უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა შესახებ, 1952 წლის ნოემბრის დამლევამდე უცხოელებმა შეიძინეს იაპონიის საწარმოთა 8.600 მილიონი იენის 108 მილიონზე მეტი აქცია.

კიოდო ცუსინის სააგენტოს 25 დეკემბრის ცნობაში აღნიშნულია, რომ „ამ შეთანხმების ნიმუშად გამოყენებულ იქნა ანალოგიური შეთანხმება, რომელიც 1951 წლის აპრილში დაიდო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კოლუმბიას შორის“.

გადაღება ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი

ჯაკარტა, 4 იანვარი. (საკდესი). ანტარას სააგენტო იუწყება, რომ გადაღება ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი გომუნკუ ბივონო.

ამ ცნობას შეიძლება დავძინოთ, რომ ბივონოს გადაგდომა მჭიდროდ არის დაკავშირებული 1952 წლის 17 ოქტომბრის ამბებთან, როცა მემარჯვენე სოციალისტებმა ჯაკარტაში მოაწყეს დემონსტრაცია, რომელიც არსებითად იყო ცდა — მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, შემოეღოთ ინდონეზიაში სამხედრო დიქტატურა და დაეთხოვათ ინდონეზიის პარლამენტი. მემარჯვენე სოციალისტები სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციის თავიანთ გეგმებში თავდაცვის მინისტრ ბივონოს თვალსაჩინო როლს აკუთვნებდნენ.

ინდონეზიის მთავრობამ 22 ნოემბერს გამოაქვეყნა ზოგადი ფრაზებით შეღგენილი განკარგულება 17 ოქტომბრის ამბების შესახებ ისე, რომ არ დაუსახელებია და არ დაუსჯია ამ ამბების დამწყებნი.

მთავრობის ასეთმა პოზიციამ გამოიწვია აღშფოთება ინდონეზიის საზოგადოებრიობისა, რომელიც მოითხოვდა პარლამენტის საწინააღმდეგო დემონსტრაციების ინიციატორთა დასჯას. ინდონეზიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მემარჯვენე სოციალისტები ამხილა როგორც ინგლისელ და ჰოლანდიელ იმპერიალისტთა აგენტები და საბელმწიფო გადატრიალების ცდის ორგანიზატორები. მან მოითხოვა 17 ოქტომბრის ამბების დამნაშავეთა დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემა.

ბივონოს გადაგდომის ფორმალური საბაბი გახდა ერთ-ერთი სამხედრო ოლქის სარდლად მისთვის არასასურველი ოფიცრის დანიშვნა. ნამდვილად კი ეს გადაგდომა აიხსნება საზოგადოებრივი აზრის სერიოზული ზეგავლენით, რომელიც უკმაყოფილოა თავდაცვის მინისტრისა და მემარჯვენე სოციალისტების ანტიხალხური პოლიტიკით.

გაზეთი „მერდეკა“ წერს, რომ ბივონოს გადაგდომა დროულია, რადგან ახლა „მას შეუძლია გადაგდომა ახსნას იმით, რომ იგი გამოწვეულია მთავრობის პოლიტიკის საკითხში პრინციპული უთანხმოებით. ასეთი საქციელით მას შეუძლია შეინარჩუნოს რეპუტაცია, რომელიც თითქმის დაკარგა“.

მოელოდნენ, რომ მთავრობის სოციალისტი წევრები კაბინეტიდან გავიდოდნენ ბივონოსთან სოლიდარობის ნიშნად. მაგრამ, უკანასკნელი ცნობებით, მათ გადაწყვეტეს მთავრობაში დარჩნენ ალბათ იმის შიშით, რომ მათი წასვლა საბოლოოდ ამხილებდა მემარჯვენე სოციალისტებს, როგორც რეაქციისა და იმპერიალისტების ხელშემწყობთ.

ძილზე აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა დაახლოებით 2,5-ჯერ მეტი რკინიგზები, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში. მკვეთრად ამაღლდება რკინიგზის, ზღვის, სამდინარო და სახმელეთო ტრანსპორტის სხვა სახეების ტექნიკური აღჭურვილობა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაშლილი ამაგალობის შესაბამისად 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა საგრძნობლად გაიზრდება. ამასთან ერთად განხორციელდება დამუშავებითი წარმოების შემდგომი მიახლოება სანედლეულო ბაზებთან და მოხმარების რაიონებთან, რაც ხელს შეუწყობს არარაციონალური და მეტად შორ მანძილზე გადაზიდვის აღმოფხვრას.

ახალი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საქართველოში განხორციელდება მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქი და ინდუსტრიული წარმოების სხვა დარგების შემდგომი სწრაფი ზრდა, სამრეწველო წარმოება მთლიანად 74,2 პროცენტით გაიზრდება. სოფლის მეურნეობის ხაზით ჩატარდება დიდი ირიგაციულ-მელიორაციული სამუშაოები, მკვეთრად გაიზრდება სუბტროპიკული კულტურების პროდუქცია და ჩვენი რესპუბლიკა გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამს წინ საკუთარი წარმოების პურით თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში ფართო მოხმარების საგნების წარმოების განუხრელი ზრდისა და ამ სახის პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა დაახლოებით 70 პროცენტით გადიდდება. ფართო მოხმარების საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ასეთი გადიდება მკვეთრად აამაღლებს საბჭოთა ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას.

მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ სტატვაში 1946 წლის 9 თებერვალს ამბობდა: „რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. ამას, ალბათ, სამი ახალი ხუთწლედი დასჭირდება, თუ მეტი არა. მაგრამ ამ საქმის გაკეთება შეიძლება და ჩვენ იგი უნდა გავაკეთოთ“.

როგორც აღვნიშნეთ, 1955 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის დონე 3-ჯერ გადააჭარბებს 1940 წლის შესაბამ მაჩვენებელს, ხოლო ნავთობის მოპოვება თითქმის 20 პროცენტით მეტი იქნება ზემოაღნიშნულ ოდენობასთან შედარებით. მაშასადამე, ხანგრძლივი პერიოდის გეგმების ზემოდასახელებული ორი მაჩვენებელი ომისშემდგომი მეორე ხუთწლედის მანძილზე იქნება შესრულებული, ხოლო თუჯის გამოდნობის, ფოლადის წარმოებისა და ქვანახშირის მოპოვების მხრივ აღნიშნული დავალების 72-75 პროცენტს მივაღწევთ.

მრეწველობის პროდუქციის ოდენობა, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია. 1955 წელს 1940 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირის სოციალისტური წარმოების პროდუქციის ოდენობა თვითეულ სულ მოსახლეზე დაახლოებით შემდეგ ზრდას იძლევა: მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (შესადარი ფასებით) გაიზრდება 2,5-ჯერ; მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია — 3,9-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება — 2-ჯერ, თუჯის წარმოება — 2-ჯერ, ფოლადის წარმოება 2,1-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის 3-ჯერ, ხოლო მარცვლეულის წარმოება 30-35 პროცენტით. საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის ოდენობა მოსახლეობის სულადობის მიხედვით 1955 წელს დაახლოებით ორნახევარჯერ მეტი იქნება 1940 წელთან შედარებით. მაშასადამე, პროდუქციის სიუხვის შექმნის მხრივ საბჭოთა კავშირი მორიგ დიდ წარმატებას მიაღწევს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების საქმეში.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საზოგადოება კიდევ უფრო გაადიდებს და განამტკიცებს წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებას. გაძლიერდება და განმტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოება, გაფართოვდება და გაღრმავდება კოლმეურნეობრივი წარმოების განუყრელი კავშირი საერთო-სახალხო წარმოებასთან.

ამხანაგი სტალინი, ლაპარაკობს რა კომუნიზმში გადასვლის მეორე წინაპირობაზე, მიუთითებს: „... **აუცილებელია კოლმეურნეობებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე...**“

ახალ ხუთწლედში თვალსაჩინო წარმატება იქნება მიღწეული საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, სოციალიზმიდან კომუნიზმში ნამდვილი გადასვლის მომზადების მესამე ძირითად წინაპირობას წარმოადგენს საზოგადოების კულტურული დონის მკვეთრი ამაღლება. „...**აუცილებელია მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია**“. ი. ბ. სტალინის ამ სახელმძღვანელო დებულების შესაბამისად მეხუთე ხუთწლედში ხორციელდება საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

1951-1955 წლების მანძილზე სახალხო მეურნეობაში მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა გაიზრდება დაახლოებით 15 პროცენტით. ამავე დროს საზოგადოებრივი წარმოების მოცულობის განუხრელ ზრდასთან ერთად მკვეთრად გადიდდება შრომის ნაყოფიერება. აღნიშნულის შედეგად მეხუთე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი სულ ცოტა 60 პროცენტით გაიზრდება. ნაციონალური შემოსავლის ასეთი გადიდების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების შემოსავლის შემდგომი ზრდა. მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით სულ ცოტა 35 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი 40 პროცენტით გადიდდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ საბჭოთა ხალხის საბინაო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის მკვეთრ გაუმჯობესებას და მისი კულტურული დონის შემდგომ განუხრელ აღმავლობას. 1951-1955 წლებში სახელმწიფო მშენებლობის ხაზით ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 105 მილიონამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, მკვეთრად გაუმჯობესდება კომუნალური მეურნეობა და ამ მეურნეობის მხრივ მოსახლეობის მომსახურება. მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე განხორციელდება ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერების დარგში და საბჭოთა საზოგადოების კულტურული დონის ასამაღლებლად. ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება „...შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში“. ამასთან ერთად მომზადდება პირობები მომდევნო ხუთწლედში დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში საყოველთაო საშუალო განათლების განსახორციელებლად. დაიწყება პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნება საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად. ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდება სამეცნიერო-საკვლევ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გაუმჯობესდება მათი მუშაობა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან სპეციალისტთა გამოშვება გაიზრდება 30-35 პროცენტით.

ამრიგად, მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საზოგადოება მკვეთრად აამაღლებს მოსახლეობის მატერიალურ-კულტურულ დონეს და ამ მხრივაც დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის წინაწარ ძირითად პირობათა მომზადების უზრუნველსაყოფად.

მეხუთე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. 1951-1955 წლების მანძილზე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება: მრეწველობაში — 50 პროცენტით, მშენებლობის ხაზით — 55 პროცენტით და სოფლის მეურნეობაში — 40 პროცენტით. ამავე წლებში მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება დაახლოებით 25 პროცენტით, სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება სულ ცოტა 20 პროცენტით.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მოითხოვენ სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვას, კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევისათვის ბრძოლისა და მასების კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაძლიერებას, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის უფრო გაშლას მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს საბჭოთა ხალხმა ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხა. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, წარმატებით ახორციელებენ ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნების შედეგთა ლიკვიდაციას და თავდადებულად შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა და დაასაბუთა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები.

თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სახალხო მეურნეობის განვითარება მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის ინტერესებს ემსახურება. ამ მაქსიმალური მოგების მიღება ხდება მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური ძარცვის გზით, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით.

როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, თანამედროვე კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია „...მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით განსაზღვრული საბჭოთა კავშირის სოციალისტური წარმოებისა და ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ახალი მძლავრი ზრდა ი. ბ. სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ცხოველმყოფელობის მორიგ ხალელ დადასტურებას წარმოადგენს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში, — „...კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდ

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ № 3. (საქინფორმი). 7 ოქტომბრის 5 სა და ღამის 7 საათზე ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ტელეფონის სადგურის ტერიტორიაზე მოხდა ხანძარი, რომელიც ადგილობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილის მიერ ლიკვიდირებულ იქნა 10 წუთში. ხანძრის მიზეზი ელექტროქსელის მოკლე ჩართვა გახლავთ. ხანძრის შედეგად ზიანი არ დადგა.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ № 3. (საქინფორმი). 7 ოქტომბერს 15 საათზე ქ. ბათუმში, ნინოწმინდის ქუჩაზე მდებარე ტელეფონის სადგურის ტერიტორიაზე მოხდა ხანძარი, რომელიც ადგილობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილის მიერ ლიკვიდირებულ იქნა 10 წუთში. ხანძრის მიზეზი ელექტროქსელის მოკლე ჩართვა გახლავთ. ხანძრის შედეგად ზიანი არ დადგა.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ № 4. (საქინფორმი). 7 ოქტომბერს 5 საათზე ქ. ბათუმში, ნინოწმინდის ქუჩაზე მდებარე ტელეფონის სადგურის ტერიტორიაზე მოხდა ხანძარი, რომელიც ადგილობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილის მიერ ლიკვიდირებულ იქნა 10 წუთში. ხანძრის მიზეზი ელექტროქსელის მოკლე ჩართვა გახლავთ. ხანძრის შედეგად ზიანი არ დადგა.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ № 3. (საქინფორმი). 7 ოქტომბერს 7 საათზე ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ტელეფონის სადგურის ტერიტორიაზე მოხდა ხანძარი, რომელიც ადგილობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილის მიერ ლიკვიდირებულ იქნა 10 წუთში. ხანძრის მიზეზი ელექტროქსელის მოკლე ჩართვა გახლავთ. ხანძრის შედეგად ზიანი არ დადგა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ № 3. (საქინფორმი). 7 ოქტომბერს 5 სა და ღამის